საბაზისო დონე – ცოდნის მოდული

ბულალტერი ბიზნესში

საგამოცდო ნიმუში

გამოცდის ხანგრძლივობა: 2 საათი და 30 წუთი

საგამოცდო საკითხები გაყოფილია ორ განყოფილებად

განყოფილება ა – ყველა, 40 კითხვა, სავალდებულოა და **უნდა** გაეცეს პასუხი

განყოფილება ბ- ყველა, 5 კითხვა, სავალდებულოა და **უნდა** გაეცეს პასუხი

არ გადაშალოთ საგამოცდო ფურცელი გამოცდის ზედამხედველის ნებრათვის მიღებამდე

ეს საგამოცდო საკითხები **არ უნდა გავიდეს საგამოცდო დარბაზიდან.**

განყოფილება ა – ყველა, 40 კითხვა, სავალდებულოა და უნდა გაეცეს პასუხი

გამოიყენეთ კანდიდატის პასუხების ბუკლეტის ყდის შიდა მხარე არჩევითპასუხიან კითხვებზე პასუხის გასაცემად.

1. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მთავარი მიზანია უზრუნველყოს გამართული _____ .

რომელი ორი სიტყვა დაასრულებს ზემოთ მოყვანილ წინადადებას?

ა ფინანსური კონტროლი

ბ კორპორაციული ანგარიშგება

გ გარე აუდიტი **(1 ქულა)**

2. ლიდერობის სტილი, რომელიც ნაკლებად აღიარებს ქვეშევრდომების მიერ შეტანილ წვლილს, არის _____ .

რომელი სიტყვა დაასრულებს ზემომოყვანილ წინადადებას?

ა ავტორიტარული

ბ ავტოკრატიული

გ შემტევი **(1 ქულა)**

3. **კონფლიქტის დარეგულირებისას, ქვემოთ მოყვანილთაგან, რომელი მიდგომის გამოყენება გაზრდის მაქსიმალურად კონსესუსის მიღწევის ალბათობას?**

ა აღიარება

ბ მოლაპარაკება

გ უგულებელყოფა

დ შეტევა **(1 ქულა)**

4. დარა დანიშნეს პროფესიონალური საფეხბურთო კლუბის მმართველი გუნდის წევრად. მის მოვალეობებში შედის იმ ახალგაზრდა მოთამაშეების წვრთნა, მენტორობა და კონსულტაცია, რომლებმაც პირველად დადეს კონტრაქტი კლუბთან.

ქვემოთ მოცემულია დარას ძირითადი საქმიანობები:

(1) ახალგაზრდა მოთამაშეების დახმარება საყოფაცხოვრებო საკითხების გადაჭრაში, კლუბში მოსვლიდან პირველი კვირის განმავლობაში;

(2) თითოეული მოთამაშის უნარების გარკვევა და მათი დახმარება სრულყონ ეს უნარები;

(3) მოთამაშეებისათვის რჩევის მიცემა პირად საკითხებთან დაკავშირებიათ, მაგალითად, როგორ მართონ თავიანთი ფინანსები;

(4) მოთამაშეების დახმარება განსაზღვრონ მოწინააღმდეგის რეაქცია.

ქვემოთ მოყვანილთაგან, რომელი შეესაბამება ზემოთ მოყვანილ ოთხ საქმიანობას?

ა 1. მენტორი 2. კონსულტანტი 3. მწვრთნელი 4. კონსულტანტი

ბ 1. მენტორი 2. მწვრთნელი 3. კონსულტანტი 4. მწვრთნელი

გ 1. მენტორი 2. მწვრთნელი 3. კონსულტანტი 4. მენტორი

დ 1. კონსულტანტი 2. მენტორი 3. მწვრთნელი 4. კონსულტანტი. **(2 ქულა)**

5. **ორგანიზაციის პოლიტიკის საჯარო ინტერესებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვემოთ მოყვანილთაგან, რომელზე უნდა მოახდინონ კომპანიის დირექტორებმა კონცენტრირება?**

ა აქციონერების გრძელვადიანი კეთილდღეობა

ბ კანონმდებლობასთან და მართვის კოდექსთან შესაბამისობა

გ დაინტერესებული მხარეების კოლექტიური კეთილდღეობა **(1 ქულა)**

6. მარტინი არის გამოცდილი და განსწავლული გემთმშენებელი, რომელიც ცხოვრობს დასავლეთ ევროპის ერთ-ერთ ქალაქში. ერთობლივ მოთხოვნაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცვლილებების გამო, დაიხურა ის გემთსაშენი, სადაც მარტინი მუშაობდა, რის გამოც მარტინი დაითხოვეს. რადგან თავის რეგიონში აღარ არსებობდა მარტინის ხელობაზე მოთხოვნა, იგი იძულებული გახდა გადასულიყო სხვა ქვეყანაში, სადაც გემთშენებლობასთან ახლოს მდგომ სხვა საინჟინრო სფეროში ერთწლინი წვრთნის გავლის შემდეგ, შეძლო სამსახურის პოვნა.

ქვემოთ მოყვანილთაგან, რომელი აღწერს მარტინის უმუშევრობის ტიპს?

ა სტრუქტურული უმუშევრობა

ბ ციკლური უმუშევრობა

გ დროებითი უმუშევრობა

დ მარგინალური უმუშევრობა **(2 ქულა)**

7. **ქვემოთ მოყვანილთაგან, რომელი წარმოადგენს მარკეტინგირ ძირითად ფუნქციას?**

ა გაყიდვების მოცულობის ზრდა

ბ მომხმარებელთა საჭიროებების წინასწარი განჭვრეტა

გ პოტენციური მომხმარებლების დარწმუნება, თავიანთი საჭიროებები აქციონ დანა-ხარჯებად

დ გასაღების საუკეთესო ბაზრის მოძებნა თავიანთი საქონლისა და მომსახურებისთვის.

(2 ქულა)

8. **ქვემოთ მოყვანილია სანქციები, რომლებიც ეკისრებათ კომპანიებს პოტენციური კანონდარღვევისთვის:**

(1) ფინანსურ საკითხებში სახელმწიფო დეპარტამენტის ან სააგენტოს მიერ გამოძიების ჩატარება;

(2) კომპანიების მარეგისტრირებელი სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ჯარიმის დაკისრება;

(3) გარე აუდიტის უარი ხელი მოაწეროს ფინანსურ ანგარიშგებას;

(4) საფონდო ბირჟის მიერ აქციების განთავსებაზე უარის თქმა

ზემოთ მოყვანილთაგან, რომელი დაეკისრება კომპანიას ბუღალტრული ჩანაწერების არასწორი წარმოების გამო?

ა 1 და 2

ბ 1 და 3

გ 2 და 4

დ 3 და 4 (2 ქულა)

9. ქვეყნის მოსახლეობის საშუალო ასაკი დამოკიდებულია ორ დემოგრაფიულ ფაქტორზე: შობადობასა და გარდაცვალებაზე.

თუ ჩავთვლით, რომ ორივე ფაქტორი თანაბრად იცვლება, ქვემოთ მოყვანილთაგან, რომელი გამოიწვევს მოსახლეობის დაბერებას?

	შობადობა	**გარდაცვალება**
ა	ზრდა	ზრდა
ბ	შემცირება	ზრდა
გ	ზრდა	შემცირება
დ	შემცირება	შემცირება

(2 ქულა)

10. ჯილსი ატარების შეფასების გასაუბრებას თავის თანაშემწე ლისთან. თავდაპირველად მან ისაუბრა ჯილის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, ხოლო შემდეგ ჯილს სთხოვა ესაუბრა თავის საქმეზე, მიზნებზე, მოლოდინსა და პრობლემებზე. მან აირჩია მიდგომა, რომლის დროსაც არ განსაჯა, არამედ შესთავაზა და მიმართულება მისცა.

საქმიანობის შეფასების რომელი მიდგომა გამოიყენა ჯილსმა?

ა ბრძანება და დასაბუთება

ბ ბრძანება და მოსმენა

გ პრობლემების ერთობლივი მოგვარება

დ 360 გრადუსიანი მიდგომა (2 ქულა)

11. რომელია გარე აუდიტის მთავარი ვალდებულება?

ა შეამოწმოს კლიენტის ყველა ფინანსური ოპერაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია

ბ დარწმუნდეს, რომ კლიენტის ფინანსური ანგარიშგება არის გონივრულად ზუსტი და მიუკერძოებელი

გ ყველა ფინანსური დარღვევის შესახებ საქმის კურსში ჩააყენოს კლიენტის აქციონერები

დ დარწმუნდეს, რომ კლიენტის ყველა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული და წარდგენილია შესაბამის სტრუქტურაში. (2 ქულა)

12. ქვემოთ მოყვანილია ბიზნესინფორმაციის მაგალითები:

(1) განყოფილების შემოსავლებისა და ხარჯების წლიური პროგნოზი;

(2) მომდევნო 2-3 წლის განმავლობაში პროდუქტის განვითარების გეგმა;

(3) საქმიანობის შეფასების გასაუბრებაზე მენეჯერებთან შეთანხმებული მიზნები და ამოცანები

ჩამოთვლილთაგან, რომელი წარმოადგენს ტაქტიკურ ინფორმაციას?

ა (1), (2) და (3)

ბ მხოლოდ (1) და (3)

გ მხოლოდ (2) და (3) (1 ქულა)

13. ვასიმი არის მომხმარებელთა მომსახურების მენეჯერი დასვენების პარკში. მომდევნო დასვენების დღეები ძალიან აქტიური იქნება დღესასწაულის გამო. ვასიმმა უნდა გადაჭრას პრობლემა, რომელიც წარმოიშვა რამდენიე თანამშრომლის სამსახურში არგამოცხადების გამო. გარდა ამისა, მენეჯერმა მოსთხოვა წარედგინა ადმინისტრაციული ანგარიშგება, რომელიც წინა კვირაში ჰქონდა წარსადგენი. ასევე, ვასიმმა წვრთნა უნდა ჩაუტაროს ექვს ახალ თანამშრომელს.

ყველა საქმის ეფექტურად შესასრულებლად, რა უნდა ჰქნას ვასიმმა?

ა საქმეებს პრიორიტეტები მიანიჭოს შედეგების მნიშვნელოვნების მიხედვით

ბ მოამზადოს ანგარიშგება, რომელიც მოითხოვა მენეჯერმა

გ წვრთნა ჩაუტაროს ახალ თანამშრომლებს

დ შეასრულოს სამუშაო, რომელსაც ჩვეულებრივ ასრულებენ არგამოცხადებული თანამშრომლები. (2 ქულა)

14. თავიანთი მოვალეობის ეთიკურად შესასრულებლად, ფინანსურმა დირექტორებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათ მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია ზუსტად ასახავდეს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას და არ იქნეს დამალული ის უარყოფითი ასპექტები, რაც ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე არასწორ წარმოადგენას შეუქმნის დაინტერესებულ მომხმარე

ქვემოთ მოყვანილი ეთიკური პრინციპებიდან, რომელი ასახავს ამ მოვალეობას?

ა წესიერება

ბ პატიოსნება

გ დამოუკიდებლობა

დ ობიექტურობა (2 ქულა)

15. **ქვემოთ მოყვანილთაგან, რომელი წარმოადგენს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიზანს?**

ა კანონით მოთხოვნილი ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შეთანხმება ყველა წევრ საბუღალტრო ორგანიზაციებს შორის;

ბ საერთაშორისო ფინანსური დანაშაულის, როგორიცაა, მაგალითად, ფულის გათეთ-რება და თაღლითობა, პრევენცია.

გ ეთიკური სტანდარტების დანერგვა ყველა წევრ ორგანიზაციაში;

დ უნივერსალურად გამოსაყენებელი, დეტალური წესების შემუშავება არასწორი ქცევის თავიდან ასაცილებლად. (2 ქულა)

16. ეკონომიკური აქტივობის გასააქტიურებლად ან შესანელებლად გამოიყენება შემდეგი სამთავრობო პოლიტიკა:

(1) გადასახადები

(2) მთავრობის დანახარჯები

ქვემოთ მოყვანილი სამთავრობო პოლიტიკის კომბინაციებიდან, რომელი გააქტიურებს ეკონომიკას ყველაზე მეტად?

ა (1)-ის გაზრდა და (2)-ის გაზრდა

ბ (1)-ის გაზრდა და (2)-ის შემცირება

გ (1)-ის შემცირება და (2)-ის გაზრდა

დ (1)-ის შემცირება და (2)-ის შემცირება **(2 ქულა)**

17. ნეილი მუშაობს დიდი სერვისების მომწოდებელი კომპანიის მომარაგების მენეჯერად.

ქვემოთ ჩამოთვლილი მარკეტინგული მიქსის რომელი ელემენტისთვის გამოდგება ნეილის მიერ მოწოდებული ინფორმაცია?

ა ფიზიკური მტკიცებულება

ბ სადისტრიბუციო არხი (ან ადგილი)

გ ფასი

დ პროცესი **(2 ქულა)**

18. მენეჯერმა მალაქის სთხოვა ინფორმაციის შეგროვება აბც კომპანიის შესახებ, რომელიც მონაწილეობას იღებს მალაქის ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ ტენდერში. ინფორმაციის წყაროდ იგი იყენებს ორ ანგარიშგებას, ფინანსური მდგომარეობისა (აფმშ) და მოგებისა და ზარალის შესახებ (მზუ). მალაქიამ უნდა მოიპოვოს შემდეგი ინფორმაცია:

(1) კომპანიის აქციები;

(2) საოპერაციო ხარჯები, როგორც ერთობლივი შემოსავლის პროცენტი

(3) გრძელვადიანი სესხები;

(4) ლიკვიდურობა.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი შეესაბამება სწორად ფინანსური ანგარიშგებებიდან მოსაპოვებელ ინფორმაციებს?

	1	2	3	4
ა	აფმშ	მზუ	მზუ	აფმშ
ბ	მზუ	აფმშ	აფმშ	მზუ
გ	მზუ	აფმშ	მზუ	აფმშ
დ	აფმშ	მზუ	აფმშ	მზუ

(2 ქულა)

19. ლინი წარმატებული რესტორნის მენეჯერია. მისმა რეგულარულმა მომხმარებლებმა გამოთქვეს პრეტენზია, სხვა მომხმარებლების ხმაურიანი და უწესრიგო ბავშვების შესახებ, რომელთა გამოც მათ ვერ მოახერხეს დასვენება.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი ჩაითვლება აღნიშნული პრობლემის პლურალისტულ გადაწყვეტილებად?

ა ბავშვებიანი ოჯახებისთვის გამოიყოს ცალკე ადგილი რესტორანში

ბ არ მიიღოს შეკვეთა ბავშვებიანი ოჯახებისგან

გ შეკვეთის გაკეთებამდე, მომხმარებლებს აუხსნან, რომ რესტორანი არის ოჯახებისთვის განკუთვნილი

დ არავითარი ზომები არ იქნეს მიღებული, რადგან პრეტენზიების მქონე მომხმარებლები ყოველთვის უმცირესობაში იქნებიან. (2 ქულა)

20. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომლის დასაცავად არის შექმნილი მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა?

ა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელთა შესახებაც მხოლოდ კანონით ნებადართული მონაცემები არის შენახული

ბ ყველა ფიზიკური, რომელთა შესახებაც მხოლოდ კანონით ნებადართული მონაცემები არის შენახული

გ ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელთა შესახებაც ნებისმიერი მონაცემი არის შენახული. (1 ქულა)

21. სისტემა, რომელსაც კომპანია იყენებს გაყიდვებისა და შესყიდვების ჩასაწერად, არის:

ა მონაცემთა დამუშავების სისტემა

ბ მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა

გ ოფისის ავტომატიზებული სისტემა

დ გადაწყვეტილების დამხმარე სისტემა (2 ქულა)

22. ქვემოთ ჩამოთვლილია ორგანიზაციის დაინტერესებული მხარეები:

(1) მენეჯერი

(2) მომხმარებელი

(3) აღმასრულებელი დირექტორი

(4) მომწოდებელი

ზემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი არის დაკავშირებული დაინტერესებული მხარე?

ა (1), (2) და (3)

ბ (2) და (4)

გ მხოლოდ (2) და (3)

დ (3) და (4) (2 ქულა)

23. მაღალი ინფლაციის პირობებში, ის ვისაც ვალი აქვს – იგებს, ხოლო ის, ვისი ვალიც აქვთ – კარგავს.

ეს განაცხადი სწორია თუ მცდარი?

ა სწორია

ბ მცდარი (1 ქულა)

24. რომელი ტიპის ტრენინგისას იქნება ეფექტური როლური თამაშების სავარჯიშოები, რომელთა დროსაც გამოიყენება ვიდეოჩანაწერები?

ა გაყიდვის უნარების დახვეწისას

ბ რეგულაციებისა და კანონთან შესაბამისობის გაცნობისას

გ ტექნიკური ცოდნის შეძენისას

დ ახალი პროცესებისა და პროცედურების გაცნობისას (2 ქულა)

25. რენატამ გაიარა თვითგანვითარების კურსი, სადაც შეასრულა თვითანალიზის სავარჯიშო ბლეიქისა და მუტონის მენეჯერული ცხრილის გამოყენებით. სასწავლო კურსის ლიდერმა უთხრა, რომ ის მიეკუთვენება 9.1 სტილის ლიდერთა ტიპს.

კიდევ რა დასკვნის გაკეთება შეიძლება რენატას ლიდერობის სტილიდან გამომდინარე?

(1) ის მაქსიმალურად იყენებს საკუთარი გუნდის შესაძლებლობებს

(2) მას ნაკლებად აინტერესებს საკუთარი გუნდის წევრების პირადი პრობლემები

(3) ის აბალანსებს გუნდის საჭიროებებს და შესასრულებელ სამუშაოს

(4) ის კონცენტრირებულია დასახული მიზნების მიღწევაზე

ა 1 და 2

ბ 2 და 4

გ 1 და 4

დ 2 და 3 (2 ქულა)

26. პროფესიონალი ბუღალტერი მუდმივად უნდა ახდენდეს სამართლიანობის დემონსტრირებას.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი აღწერს ყველაზე სწორად ტერმინს „სამართლიანობა“?

ა მაღალი მორალური პრინციპების ხელმძღვანელობა

ბ საქმიანი გადაწყვეტილების მიღებისას შეინარჩუნოს ნეიტრალური და მიუკერძოებელი პოზიცია

გ საჭირო ინფორმაცია მოამზადოს, დროულად და შეცდომების გარეშე

(1 ქულა)

27. ქვემოთ მოცემულია კოოპერატივისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დახასიათებები.

(1) შემოსავლის გადაჭარბება ხარჯებზე არ წარმოადგენს მთავარ მიზანს;

(2) ორგანიზაციის წევრებს გადაწყვეტილების მისაღებად ხმის მიცემა საკუთარი აქციების პროპორციულად შეუძლიათ

(3) ორგანიზაციის წევრებს აქციების შესყიდვა და გაყიდვა შეუძლიათ პერსონალურად;

(4) ორგანიზაციის ყველა წევრს შეუძლია ყოველწლიურ შეკრებაზე დასწრება და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა.

ზემოთ მოყვანილთაგან, რომელია საჯარო შპს-ს მახასიათებელი?

ა (2), (3) და (4)

ბ მხოლოდ (2) და (3)

გ მხოლოდ (2) და (4)

დ მხოლოდ (3) და (4) **(2 ქულა)**

28. კომპანიამ ახალი თანამშრომლების მოსაზიდად გაკეთებულ განაცხადში მიუთითა, რომ კანდიდატი უნდა იყოს სულ მცირე 1.88 მ სიმაღლის და ჰქონდეს სულ მცირე, 5 წლის უწყვეტი სტაჟი.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი იურიდიული ტერმინი შეესაბამება აღნიშნულ განაცხადს?

ა პირდაპირი დისკრიმინაცია;

ბ არაპირდაპირი დისკრიმინაცია;

გ ვიქტიმიზაცია;

დ სავარაუდო დისკრიმინაცია. **(2 ქულა)**

29. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია სწორი განაცხადი ფულადი ჯილდოს შესახებ, ჰერცბერგის ორფაქტორიანი თეორიის მიხედვით?

ა ხელფასის ზრდა ძლიერი გრძელვადიანი მოტივატორია

ბ არაადეკვატური ხელფასი ძლიერი დემოტივატორია

გ ფულადი ანაზღაურება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე არაფულადი

დ ფული არასოდეს უნდა იქნას გამოყენებული მოტივატორად **(2 ქულა)**

30. უმაღლეს სასწავლებელში აკადემიური ფაკულტეტი დაყოფილია კურსებად და დეპარტამენტებად, სადაც ლექტორი ანგარიშვალდებულია როგორც კურსის პროგრამის მენეჯერის, ისე საგნის სპეციალიასტის წინაშე, იმისდა მიხედვით, თუ რომელ კურსს ასწავლის და რომელ კონკრეტულ საგანს.

ჩარლზ ჰენდის ოთხი კულტურული სტერეოტიპის მიხედვით, ზემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი შეესაბამება ზემოთ აღწერილ ორგანიზაციულ სტრუქტურას?

ა როლის

ბ დავალებრივი

გ ძალაუფლების

დ პერსონალური (2 ქულა)

31. **კომუნიკაციის რომელი ტიპი არის უსწრაფესი ინფორმაციის გადასაცემად?**

ა წრე

ბ ჯაჭვი

გ Y

დ ბორბალი (2 ქულა)

32. კელის სურს ბიზნესის პრობლემის ახსნა პაველისთვის სატელეფონო საუბრის საშუალებით.

რომელი ახდენს ინფორმაციის „კოდირებას“ აღნიშნული კომუნიკაციისას?

ა კელი

ბ პაველი

გ კელი და პაველი (2 ქულა)

33. **ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი კანონმდებლობის რომელი ტიპი უზრუნველყოფს დასაქმების მეტ შესაძლებლობას დიდ კომპანიაში?**

ა ახალი კანონი ჯანდაცვისა და უსაფრთხოების შესახებ

ბ ახალი კანონი სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად

გ ახალი კანონი, რომლის მიხედვითაც გართულდება თანამშრომლის უსამართლოდ დათხოვნა სამსახურიდან

დ ახალი კანონი, რომლის მიხედვითაც დამსაქმებელს მოუწევს მაღალი კომპენსაციის გადახდა დასაქმების კონტრაქტის დარღვევისას. (2 ქულა)

34. **რა არის საჯარო ზედამხედველობის საბჭოს პასუხისმგებლობა?**

ა შიდა აუდიტის პროცედურების დეტალურად გაწერა

ბ ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შემუშავება

გ ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კანონმდებლობის შემუშავება

დ სამართლებრივი და შესაბამისობის სტანდარტების დანერგვა და მონიტორინგი. (2 ქულა)

35. ადრიანი ქოლცენტრის მენეჯერია. კონსულტანტებმა ურჩიეს, რომ თავისი გუნდის რეოგანიზაციით ქოლცენტრი შეძლებს შესრულებული სამუშაოს ეფექტურობისა და გაყიდვების ზარების რაოდენობის მნიშვნელოვნად გაზრდას. რეორგანიზაციის შესახებ წინადადება მეტად არაპოპულარულია თანამშრომლებს შორის, რომლებიც თვლიან, რომ სამუშაო გახდება მონოტონური და მოსაწყენი.

მენეჯმენტის რომელი სკოლის პრინციპებს შეესაბამება ქოლცენტრის რეორგანიზაციის შესახებ წინადადება?

ა ადმინისტრაციული სკოლა

ბ ემპირიული სკოლა

გ სამეცნიერო სკოლა (1 ქულა)

36. ერთობლივი მოთხოვნა შედეგება სამთავრობო ხარჯებისგან, ----------, ---------- და მოგება საერთაშორისო ვაჭრობიდან.

ქვემოთ მოყვანილთაგან, რომელი დაასრულებს წინადადებას სწორად?

(1) დანაზოგი

(2) გადასახადები

(3) ინვესტიციები

(4) მოხმარება

ა 1 და 3

ბ 2 და 3

გ 3 და 4

დ 1 და 4 (2 ქულა)

37. მარკეტინგის კონტექსტში, „ოთხი P“ არის ფასი, სტიმულირება, ---------- და ----------.

(1) პროდუქტი;

(2) პოზიციონირება;

(3) ადგილი.

ა 1 და 3

ბ 1 და 2

გ 2 და 3 (1 ქულა)

38. კომპანია განიხილავს ეთიკის კოდექსის დანერგვას ორგანიზაციაში მისი გაყიდვების შესახებ მედიაში გავრცელებული კრიტიკის შემდეგ.

ქვემოთ მოყვანილთაგან, რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი ეთიკის კოდექსის შინაარსის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას?

ა თანამშრომლების ქცევის სტანდარტების მინიმალური რაოდენობა

ბ კანონმდებლობის მოთხოვნები, რომლებიც გავლენას ახდენს ძირითადი პროდუქტებისა და მომსახურების გაყიდვაზე

გ მომხმარებელთა მიერ გამოთქმული პრეტენზიები

დ იმავე სფეროს წარმოადგენელი სხვა ორგანიზაციების მიერ დანერგილი საყოველთაოდ მიღებული სტანდარტები (2 ქულა)

39. ჯეკი ხელმძღვანელობს ექვსი კაცისგან შემდგარ გუნდს. წინა თვეში ორმა შეიცვალა სამსახური და ერთი გავიდა დეკრეტულ შვებულებაში. სამი ახალი წევრი შეუერთდა ჯეკის გუნდს.

თაკმენის გუნდი ფორმირების ფაზებიდან, რომელს ექნება ადგილი ამ შემთხვევაში?

ა ნორმირება

ბ ფორმირება

გ საქმიანობა

დ კონფლიქტები (2 ქულა)

40. **თაღლითობის კონტექსტში, რომელ განყოფილებაში შეიძლება ხდებოდეს „გადაფარვა“?**

ა გაყიდვების

ბ ხარისხის კონტროლის

გ რეკლამირებისა და პრომოციის

დ გაყიდული საქონლის გაცემის (2 ქულა)

განყოფილება ბ – ყველა, ხუთივე საკითხზე პასუხის გაცემა სავალდებულოა.

1. **ქვემოთ მოყვანილია მართვის ფუნქციის შესახებ ოთხი ინფორმაცია:**

ა ორგანიზაციის მართვის ხუთი შეუცვლელი ფუნქცია

ბ ორგანიზაციის პროდუქტიულობის ზრდის ძირითადი ფაქტორია ინდივიდუალური და ჯგუფური ქცევა სამუშაო ადგილზე;

გ მენეჯმენტი (მართვა) არის ჭეშმარიტი მეცნიერება სამუშაოს შესახებ.

დ ბიზნესის მენეჯერს აქვს ერთი ძირითადი ფუნქცია – ორგანიზაცია ეწეოდეს წარმატებულ ეკონომიკურ საქმიანობას.

მოგეთხოვებათ:

(ა) **ზემოთ მოყვანილი დახასიათებები შეუსაბამოთქვემოთ მოყვანილ თეორიებს, აირჩიეთ ა, ბ, გ, დ ან არც ერთი.**

(i) პიტერ დრაკერი

(ii) ელტონ მეიო

(iii) ჰენრი მინცბეგი

(iv) ფ ვ ტეილორი.

შენიშვნა: ჯამური ქულა თანაბრად გაიყოფა პასუხებს შორის (2 ქულა)

(ბ) ქვემოთ ჩამოთვლილია მენეჯმენტის ხუთი ფუნქცია.

ა. დაგეგმვა

ბ. ორგანიზება

გ. მართვა

დ. მონიტორინგი

ე. მოტივირება

მოგეთხოვებათ:

განსაზღვროთ, ზემოთ მოყვანილთაგან რომელი ორი წარმოადგენს ფეიოლის მიერ ჩამოყალიბებულ მართვის ფუნქციას. აირჩიეთ ორი ა, ბ ,გ , დ და ე-დან.

(2 ქულა)

(გ) სიტუაციური თეორიის მიმდევრების მიხედვით:

ა. ეფექტური მართვა უპირველესად წარმატებული ადამიანების მართვის ფუნქციაა.

ბ. ორგანიზაციის მიღწევებს, ზოგადი ეკონომიკის პირობებში, ძირითადად, კონკრეტული სიტუაცია განსაზღვრავს.

გ. მნიშვნელოვანი ცვლილებები, ძირითადად, დამოკიდებულია ზუსტ სტრატეგიულ ხედვებსა და კომუნიკაციაზე.

დ. ადრეული ავტორების ადაპტირება არის საჭირო, რათა მათი მოსაზრებები მორგებულ იქნეს კონკრეტულ გარემოებებზე.

მოგეთხოვებათ:

განსაზღვროთ, რომელია სწორი მოსაზრება. დაწერეთ ა, ბ, გ ან დ.

(2 ქულა)

(სულ 6 ქულა)

2. (ა) კომპანიამ დანერგა კომპიუტერული სისტემა ძირითადი ბუღალტრული ფუნქციების შესასრულებლად, მათ შორის: დებიტორული და კრედიტორული დავალიანების და ხელფასების აღრიცხვა. მენეჯმენტი გარკვეულ რისკებს ხედავს კომპიუტერული მონაცემების წვდომასთან დაკავშირებით და განიხილავს კონტროლის სისტემის დანერგვას ამ რისკების გასანეიტრალებლად.

ქვემოთ მოცემულია კონტროლის სისტემის ტიპები, რომელთა დანერგვაც განიხილება:

ა ზოგადი კონტროლი

ბ გამოყენების კონტროლი

მოგეთხოვებათ:

ქვემოთ მოყვანილის კლასიფიცირება მოახდინოთ ა (ზოგადი კონტროლი) და ბ (გამოყენების კონტროლი)-ს მიხედვით:

(i) კომპიუტერების ოთახის ჩაკეტვა, რათა არათანამშრომელს არ ჰქონდეს მონაცემებთან წვდომის შესაძლებლობა.

(ii) ხელფასის სისტემის წვდომის შეზღუდვა პაროლის (კოდური სიტყვის)გამოყენებით;

(iii) მონაცემთა ფაილების აღება ყოველ საღამოს და ორგანიზაციის შენობის გარეთ შენახვა;

(iv) IT წვრთნის ჩატარება ყველა თანამშრომლისთვის სისტემის გამოყენებისას შეცდომების თავიდან ასაცილებლად.

გაითვალისწინეთ: ჯამური ქულა პასუხებს შორის გაიყოფა თანაბრად.

(2 ქულა)

(ბ) კომპანიას რეგულარულად უწევს დიდი ოდენობის ნაღდ ფულთან მუშაობა. მოლარე იღებს ნაღდ ფულს, აკეთებს შესაბამის ჩანაწერს და ყოველ დღე შეაქვს ბანკში. ვინაიდან ყველა ამ პროცედურაზე მხოლოდ ერთი ადამიანია პასუხისმგებელი, ფინანსური დირექტორი ფიქრობს, რომ არსებობს თაღლითობის ან ფულის არასწორ

მიღება-გაცემისა და ჩანაწერების არასწორად გაკეთების რისკი. ის სთავაზობს შიდა კონტროლის სისტემის დანერგვას, ასეთი შეცდომებისა და არასწორი ქცევის თავიდან ასაცილებლად.

ქვემოთ მოცემულია ბიზნესში გამოყენებული შიდა კონტროლის სისტემების კონკრეტული მაგალითები:

ა დავალებების გადანაწილება;

ბ წვრთნის ჩატარება

გ უფლებამოსილების შეღუდვა;

დ შიდა აუდიტი.

ქვემოთ მოყვანილი წინადადებები შეიცავს გამოტოვებულ ადგილებს, რომლებიც შეესაბამება შიდა კონტროლს, რომელთა გამოყენება შესაძლებელია თაღლითობისა და შეცდომების თავიდან ასაცილებლად.

თაღლითობისა და შეცდომების თავიდან ასაცილებლად შესაძლებელია __1__-ის გამოყენება, რადგან ერთ ადამიანზე არ იქნება დამოკიდებული ოპერაციის შესახებ ჩანაწერის გაკეთება და მისი დამუშავება.

მოგეთხოვებათ:

(i) შეარჩიოთ შიდა კონტროლის სწორი ვარიანტი გამოტოვებული -1- ადგილის შესავსებად. აირჩიეთ ა, ბ, გ ან დ. (1 ქულა)

თუნდაც ასეთი ზომების მიღებისას, არსებობს ალბათობა, რომ თანამშრომლებმა მოილაპარაკონ და კონტროლის გვერდის ავლით, ჩაიდინონ თაღლითობა. ამის თავიდან აცილება შესაძლებელია __2__-ის საშუალებით, რადგან იგი უზრუნველ-ყოფს საკმაოდ მძიმე სანქციებს, არაპატიოსანი ქცევის შემთხვევაში.

(ii) შეარჩიეთ შიდა კონტროლის სწორი ვარიანტი გამოტოვებული -2- ადგილის შესავსებად. აირჩიეთ ა, ბ, გ ან დ.

(1 ქულა)

(გ) ბიუჯეტის **კონტროლის სისტემის დანერგვაზე ორგანიზაციაში პასუხისმგებელია შიდა აუდიტი.**

მოგეთხოვებათ:

განსაზღვროთ, ეს განაცხადი სწორია თუ მცდარი? დაწერეთ პასუხი.

(1 ქულა)

(დ) ქვემოთ **ჩამოთვლილია შიდა და გარე აუდიტის მოვალეობები:**

(1) დაადასტუროს, რომ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებები იძლევა ჭეშმარიტ და სამართლიან ინფორმაციას;

(2) დაადასტუროს, რომ ორგანიზაციაში არსებობს შესაბამისი პოლიტიკა თაღლითობის პრევენციისა და აღმოჩენისათვის;

(3) დაადასტუროს, რომ ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია კანონმდებლობის შესაბამისად.

ა 2 და3

ბ 1 და 2

გ 1 და 3

ზემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი შედის გარე აუდიტის მოვალეობაში? დაწერეთ ა, ბ ან გ.

(1 ქულა)

(სულ 6 ქულა)

3. არსებობს ორგანიზაციის თანამშრომლების ინდივიდუალური განვითარების მრავალი გზა. თითოეულს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და მისაღებია სხვადასხვა სამუშაო გარემოში.

განვითარებისთვის გამოიყენება წვრთნა, მენტორობა, რჩევა და შეფასება.

მოგეთხოვებათ:

(ა) განვითარებისთვის გამოყენებული ქვემოთ მოყვანილი ტიპებიდან, რომელი სამუშაო გარემოა შესაფერისი:

ა ინტერვიუ, რომელიც საშუალებას მისცემს მეორე ადამიანს გაითავისოს და დაძლიოს პრობლემა

ბ ხანგრძლივი ურთიერთობა, რომლის დროსაც უფრო გამოცდილი თანამშრომელი ხელს უწყობს პიროვნების ინდივიდუალურ განვითარებას და კარიერულ წინსვლას;

გ მიდგომა, რომლის დროსაც უფრო გამოცდილი თანამშრომელი უჩვენებს სტაჟიორს, როგორ შეასრულოს მოცემული დავალება;

დ ინტერვიუ, რომლის მიზანია შესრულებული სამუშაოს შეფასება და წვრთნისა და განვითარების საჭიროების განსაზღვრა.

(i) წვრთნა. აირჩიეთ ა, ბ, გ ან დ.

(ii) მენტორობა. აირჩიეთ ა, ბ, გ ან დ.

(iii) რჩევის მიცემა. აირჩიეთ ა, ბ, გ ან დ.

(iv) შეფასება. აირჩიეთ ა, ბ, გ ან დ.

გაითვალისიწნეთ: ჯამური ქულა თითოეულ პასუხზე გაიყოფა. **(2 ქულა)**

(ბ) ორგანიზაცია მენტორობას იყენებს, როგორც პიროვნული განვითარების ფორმას.

ა. ანაზღაურების განსაზღვრა;

ბ. დაწინაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

გ. კარიერული და პიროვნული განვითარება;

დ. უკმაყოფილების აღმოფხვრა;

ე. დემონსტრირება, თუ როგორი მუშაობაა საჭირო;

ვ. გამოცდილი კადრების გამოყენება წვრთნებისთვის;

ზ. როლური მოდელის შეთავაზება თანამშრომლისთვის.

მოგეთხოვებათ:

ზემოთ მოყვანილთაგან, რომელი ორი წარმოადგენს ამ მიდგომის სარგებელს? აირჩიეთ ორი ა, ბ, გ, დ, ე, ვ და ზ-დან.

(2 ქულა)

(გ) თანამშრომლის შერჩევისას, რომელი ტიპის ტესტი გამოდგება მისი ცოდნისა და ამ ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარის შესამოწმებლად? დაწერეთ ა, ბ ან გ.

ა ინტელექტის ტესტი

ბ კომპეტენტურობის ტესტი

გ ფსიქომეტრული ტესტი (1 ქულა)

(დ) კონფლიქტის მართვის თვალსაზრისით, ქვემოთ მოყვანილი მიდგომებიდან, რომელი იქნება ყველაზე ეფექტური მნიშვნელოვანი კონფლიქტის დასარეგულირებლად თანამშრომლებს შორის, რომლებსაც ხანგრძლივად მოუწევთ ერთად მუშაობა? დაწერეთ ა, ბ ან გ.

ა მოლაპარაკება

ბ უგულებელყოფა

გ ჩახშობა (1 ქულა)

(სულ 6 ქულა)

4. ,,სპორტი 4-კიდზი'' არის საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელსაც ეკუთვნის სპორტული ცენტრი დიდ ქალაქში.

მიწა, რომელზეც განთავსებულია სპორტული მოედნები და შენობები, წარმოადგენს დონასა და დიტმარის, ორი მეურვის ქველმოქმედებას. დონა და დიტმარი უბრალოდ არსებული მიწის მესაკუთრეები არიან და მონაწილეობას არ იღებენ საქველმოქმედო ორგანიზაციის მართვაში. მათ იშვიათად უკავშირდებიან ორგანიზაციის მმართველები.

თუმცა, მხოლოდ მათ შეუძლიათ კონტრაქტის დადება მიწასთან და მის გამოყენებასთან დაკავშირებით.

სპორტი-4-კიდზს მართავს მმართველთ კომიტეტი, რომელმაც გადაწყვიტა გაფართოება და ახალი სპორტული დარბაზის აგება. კომიტეტეს აქვს უფლება გააფორმოს კონტრაქტები ორგანიზაციის, მაგრამ არა მიწის მესაკუთრის სახელით. კომიტეტის გადაწყვეტილებას არეგულირებს ქველმოქმედების სახელმწიფო მარეგულირებელი, რომელიც ჩვეულებრივ აკონტროლებს ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა.

მმართველთა კომიტეტი მოლაპარაკებებს აწარმოებს ოთხ საამშენებლო კომპანიასთან.

ახალი მშენებლობის შესახებ გადაწყვეტიებამ გააღიზიანა ადგილობრივი მაცხოვრებლები, რომლებიც თვლიან, რომ მოიმატებს ტრანსპორტის მოძრაობა, რაც საფრთხეს შეუქმნის ბავშვებს. უმეტესობა თვლის, რომ ახალი სპორტული დარბაზები უსახურია. ადგილობრივი მაცხოვრებლების კომიტეტში მუშაობს სამი ადგილობრივი გავლენიანი პოლიტიკოსი.

(ა) ქვემოთ მოყვანილია დაინტერესებული მხარეების ტიპები:

ა შიდა

ბ გარე

გ დაკავშირებული

მოგეთხოვებათ:

განსაზღვროთ, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია შიდა, გარე და დაკავშირებული დაინტერესებული მხარე.

(i) დონა და დიტმარი. აირჩიეთ ერთი ა, ბ, და გ-დან.

(ii) მმართველთა კომიტეტის წევრები. აირჩიეთ ერთი ა, ბ, და გ-დან.

(iii) ოთხი სამშენებლო კომპანია. აირჩიეთ ერთი ა, ბ, და გ-დან.

(iv) ადგილობრივი მაცხოვრებლები. აირჩიეთ ერთი ა, ბ, და გ-დან.

გაითვალისწინეთ: ჯამური ქულა პასუხებს შორის გაიყოფა. **(2 ქულა)**

(ბ) დაასრულეთ ქვემოთ მოყვანილი წინადადებები სპორტი – 4 კიდზის დაინტერესებული მხარეების შესახებ მენდელოუს ცხრილის მიხედვით.

ადგილობრივი მაცხოვრებლებს აქვთ __1__ და __2__

(i) აირჩიეთ ერთ-ერთი ქვემოთ მოყვანილთაგან გამოტოვებული ადგილის -1- შესავსებად:

ა დიდი ძალაუფლება, ნაკლები ინტერესი;

ბ მაღალი ძალაუფლება, მაღალი ინტერესი;

გ დაბალი ძალაუფლება, დაბალი ინტერესი;

დ დაბალი ძალაუფლება, მაღალი ინტერესი.

დაწერეთ ა, ბ, გ ან დ.

(ii) აირჩიეთ ერთ-ერთი ქვემოთ მოყვანილთაგან გამოტოვებული ადგილის -2- შესავსებად:

ა უნდა მოეპყრან, როგორც მთავარ მოთამაშეებს;

ბ უნდა დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნები;

გ უნდა იყვნენ ინფორმირებულები.

დაწერეთ ა, ბ ან გ.

სამშენებლო კომპანიებს აქვთ __3__ და უნდა იყვნენ __4__

(iii) აირჩიეთ ერთ-ერთი ქვემოთ მოყვანილთაგან გამოტოვებული ადგილის 3 შესავსებად:

ა დიდი ძალაუფლება, ნაკლები ინტერესი;

ბ მაღალი ძალაუფლება, მაღალი ინტერესი;

გ დაბალი ძალაუფლება, დაბალი ინტერესი;

დ დაბალი ძალაუფლება, მაღალი ინტერესი.

დაწერეთ ა, ბ, გ ან დ.

(iv) აირჩიეთ ერთ-ერთი ქვემოთ მოყვანილთაგან გამოტოვებული ადგილის 4 შესავსებად:

ა უნდა მოეპყრან, როგორც მთავარ მოთამაშეებს;

ბ უნდა დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნები;

გ უნდა იყვნენ ინფორმირებულები.

დაწერეთ ა, ბ ან გ.

გაითვალისწინეთ: ჯამური ქულა პასუხებს შორის გაიყოფა.

(4 ქულა)

(სულ 6 ქულა)

5. ბუღალტრულ სტრუქტურებს აქვთ ეთიკური ქცევის კოდექსი, რათა უზრუნველყონ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკური ქცევა.

(ა) ქვემოთ ჩამოთვლილია თვისებები, რომლებიც უნდა გააჩნდეს პროფესიონალს სამუშაო ადგილზე.

სამართლიანობა **ა**	პატიოსნება **ბ**
სანდოობა **გ**	ექსპერტის უნარ-ჩვევები **გ**
პროფესიული ქცევა **ე**	კონფიდენციალობა **ე**
პატივისცემა **გ**	ობიექტურობა **გ**

მოგეთხოვებათ:

ზემოთ მოყვანილთაგან, რომელი ოთხი მახასიათებელი წარმოადგენს ეთიკური ქცევის ფუნდამენტურ პრინციპს, რომელიც მოწოდებულია სფაკ (IFAC) (IESBA) და ACCA ეთიკის კოდექსით. (2 ქულა)

(ბ) ქვემოთ ჩამოთვლილია მახასიათებლები, რომლებიც სასურველია ჰქონდეს პროფესიონალს:

ა. იქცეოდეს საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით

ბ. იყოს მაღალკვალიფიციური;

გ. იქცეოდეს ეთიკურად;

დ. იყოს პროფესიული ასოციაციის წევრი;

ე. ჰქონდეს მაღალი ხარისხის მომსახურება;

ვ. გადიოდეს წვრთნებს;

ზ. იყოს სერტიფიცირებული;

თ. ჩააბაროს კვალიფიკაციის დამადასტურებელი გამოცდები.

მოგეთხოვებათ:

გამოყოთ ოთხი მახასიათებელი, რომელიც განასხვავებს პროფესიას სამუშაოსგან.

(2 ქულა)

(გ) კა არის დიდი კომპანიის ბუღალტერი. ახლახან მისმა მენეჯერმა სთხოვა, ჩანაწერებში არ ეჩვენებინა რამდენიმე არაზუსტი ანგარიშ-ფაქტურა, რათა გაეუმჯობესებინა ჩანაწერები.

მოგეთხოვებათ :

დაადგინოთ რა უნდა გააკეთოს კამ უპირველეს ყოვლისა? დაწერეთ ა, ბ, გ ან დ.

ა ამის შესახებ აცნობოს უფროს მენეჯმენტს/კომპანიის ეთიკის განყოფილების ხელმძღვანელს

ბ აცნობოს ამის შესახებ ACCA-ს

გ ამის შესახებ აცნობოს შესაბამის სტრუქტურებს

დ დატოვოს სამსახური **(2 ქულა)**

(სულ 6 ქულა)